1979/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 2 (457)

1979 წლის თებერვალი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (457) თებერვალი 1979 წელი

## შინაარსი

### განყოფილება მეორე

26. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალდაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

27. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

28. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ს. ხვედელიძისათვის საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

29. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინგრადის ლენსოვეტის სახელობის სახელმწიფო თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

30. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. პ. ვლადიმიროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

31. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ბ. ფრეინდლიხის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

32. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. მ. იობაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

33. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ა. სახიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

34. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. გ. გევორქიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

35. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. პ. კავილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

36. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

37. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ ა. ი. გონაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

38. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. მ. გორდელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

39. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ჯ. ი. ჩხაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

40. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. შ. ბაქრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

41. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

42. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ფ. პ. კახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში,
საინფორმაციო ცნობები.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 26 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სამაშველო ოპერაციების უნარიანი ხელმძღვანელობისათვის, წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ფოთის საზღვაო ვაჭრობის ნავსადგურის უფროსი ამხ. გიორგი სიმონის ძე **ვატაევი** დაჯილდოვდეს მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 28 თებერვალი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 27 თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მუშაკებს მიენიჭოთ საქართველოს სსრ საპატიო წოდებები:

#### საქართველოს სსრ სახალხო არტისტის:

ბარბალე ივანეს ასულ **იანვარაშვილს** — მსახიობს.
თეიმურაზ გრიგოლის ძე **ხელაშვილს** — მსახიობს.

#### საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის:

იური ალექსანდრეს ძე **ზარეცკის** — თეატრის ყოფილ ბალეტმაისტერს.
გიორგი ნოეს ძე **კახიანს** — დირიჟორს.
ავთანდილ ნიკოლოზის ძე **მამაცაშვილს** — მთავარ დირიჟორს.
ანზორ ალფესის ძე **ტრაპაიძეს** — დირექტორს.

#### საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის:

ციალა ალის ასულ **ალიევა-გურგენიძეს** — მსახიობს.
გურამ ივანეს ძე **ბაინდუროვს** — ბალეტის მსახიობს.

იური კარლოს ძე ვასაძეს — მსახიობს.
ჯიბო ევტროფის ძე თალაკვაძეს — მსახიობს.
ზურაბ ვლადიმერის ძე კახიანს — მსახიობს.
ნინელი დავითის ასულ კოდანოვას — მსახიობს.
სერგო სიმონის ძე მარტიროსოვს — კონცერტმაისტერს.
ნოდარ გიორგის ძე პიპინაშვილს — მსახიობს.
ვასილ კონსტანტინეს ძე ხურცილავას — კონცერტმაისტერს.

**საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის:**

ელენე თომას ასულ აბაკელიას — მოდელიორს.
ელისაბედ (ზიზო) ალექსანდრეს ასულ ჯალიაშვილს —სუფლიორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1979 წლის 13 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 28 ამხ. ლ. ს. ხვედელიძისათვის საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, სამკერვალო დარგის განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მოდელების რესპუბლიკური სახლის დირექტორის მოადგილეს — მთავარ სამხატვრო ხელმძღვანელს ამხ. ლელი სერგის ასულ **ხვედელიძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1979 წლის 13 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 29 ლენინგრადის ლენსოვეტის სახელობის სახელმწიფო თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1979 წლის იანვარში ქ. თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის **ლენინგრადის ლენსოვეტის სახელობის სახელმწიფო თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 2 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 30 ამხ. ი. პ. ვლადიმიროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1979 წლის იანვარში ქ. თბილისში ლენინგრადის ლენსოვეტის სახელობის სახელმწიფო თეატრის წარმატებით გასტროლებთან დაკავშირებით თეატრის მთავარი რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი იგორ პეტრეს ძე **ვლადიმიროვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 2 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 31 ამხ. ა. ბ. ფრეინდლიხის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქ. თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში წარმატებით გამოსვლასთან დაკავშირებით რსფსრ სახალხო არტისტი, ლენინგრადის ლენსოვეტის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი ალისა ბრუნოს ასული **ფრეინდლიხი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 2 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 32 ამხ. ა. მ. იობაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. აბესალომ მიხეილის ძე **იობაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1979 წლის 5 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 33 ამხ. ლ. ა. საჩიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის თელავის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების მმართველი ამხ. ლევან ალექსანდრეს ძე **საჩიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1979 წლის 5 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 34 ამხ. ნ. გ. გევორქიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათი და შრომითი მოღვაწეობის 50-ე წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პარტიულ-საბჭოთა მუშაობის მეთოდური კაბინეტის უხუცესი მეთოდისტი ამხ. ნაზიკ გიორგის ასული **გევორქიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1979 წლის 13 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 35 ამხ. ო. პ. კავილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეცნიერო დაწესებულებებში, სამხედრო და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრი ამხ. ოთარ პავლეს ძე კავილაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1979 წლის 13 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 36 ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეომრების ჯანმრთელობის დაცვის საქმეში და სამხედრო-სამეცნიერო მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის, დაარსების 170-ე წლისთავთან დაკავშირებით, **ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საოლქო სამხედრო ჰოსპიტალი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1979 წლის 15 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 37 ამხ. ა. ი. გონაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ამირან ივანეს ძე **გონაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1979 წლის 15 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 38 ამხ. ო. მ. გორდელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პატიების საკითხების განყოფილების გამგე ამხ. ოთარ მოსეს ძე **გორდელაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 39 ამხ. ჯ. ი. ჩხაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების უფროსი ამხ. ჯუმბერ ივანეს ძე **ჩხაიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 40 ამხ. კ. შ. ბაქრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. კონსტანტინე შალვას ძე **ბაქრაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 22 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 41 ამხ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კონდრატე სოკრატის ძე **ციმაკურიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 22 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 42 ამხ. ფ. პ. კახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საავტომობილო გზების დაპროექტებისა და მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ფარნაოზ პეტრეს ძე **კახიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 26 თებერვალი.

# განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1979 წლის 28 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე პირველ საკითხად მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების ინფორმაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს ორგანიზებულად, დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის, 1979 წლის და მთლიანად მეათე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშ-

ლის ვითარებაში, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის სრული შესაბამისობით.

რესპუბლიკის მშრომელები, რომლებმაც მოიპვეს მაღალი ჯილდო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, — თავდადებით იბრძვიან სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის და ნოემბრის პლენუმების დადგენილებათა შესასრულებლად.

საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ბევრ საწარმოს აღებული აქვს ვალდებულება ამ წლის პირველი კვარტალის გეგმა შეასრულოს 4 მარტისათვის.

არჩევნების შესახებ კანონით დაწესებულ ვადებში შეიქმნა საოლქო საარჩევნო კომისიები, საარჩევნო უბნები და საუბნო საარჩევნო კომისიები.

საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფილი არიან კეთილმოწყობილი შენობებით, არჩევნებისათვის საჭირო დოკუმენტაციის ბლანკებით, ლიტერატურით, ყუთებით და ბეჭდებით. მოწყობილია ხმის მისაცემი კაბინები. დაზუსტებულია ამომრჩეველთა სიები და გამოკრულია საყოველთაო გაცნობისათვის.

დიდი აღმავლობით ჩატარდა დეპუტატობის კანდიდატების დასახელება, წინასაარჩევნო თათბირები და დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრები ამომრჩევლებთან.

რესპუბლიკაში შექმნილი 3.178 საარჩევნო უბნიდან ტელეფონიზებულია 3.118, ხოლო 60 საარჩევნო უბანს აქვს რადიოკავშირი.

ფართოდაა გაშლილი სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. რესპუბლიკური და ადგილობრივი პრესა, რადიო და ტელევიზია რეგულარულად აშუქებს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ ყველა ზომა, რათა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდეს ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე.

*

*   *

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა საკითხი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1978 წლის შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განიხილონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გასული წლის შედეგები და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად.

სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კონსტიტუციებისა და ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონების მოთხოვნათა შესაბამისად:

— უზრუნველყონ საბჭოების პასუხისმგებლობის გაზრდა ქალაქისა და რაიონის კომპლექსური სოციალური და ეკონომიკური განვითარების საქმეში; შექმნილი ეკონომიკური პოტენციალი უფრო სრულად მოახმარონ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მისი მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მოსახლეობის ყველა სახის მომსახურების დონის ამაღლებას;

— დემოკრატიის შემდგომ განვითარებასთან ერთად უფრო მეტად იზრუნონ სოციალისტური კანონიერების დაცვაზე, მართლწესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში ყველა დეპუტატის აქტიურ ჩაბმაზე;

— სრულყონ საბჭოების ორგანიზატორული მუშაობა მასებთან; უზრუნველყონ მათი დარაზმვა პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებისა და მშრომელთა მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას დაევალა ქმედითი დახმარება გაუწიოს ადგილობრივ საბჭოებს, სისტემატური კონტროლი დააწესოს მათ ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაზე და საბჭოების საქმიანობის შესახებ პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

* * *

სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის და ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიების ინფორმაციები რესპუბლიკაში ტყის გაშენების გეგმა-ვალდებულების შესრულებისა და ტყის მოვლა-დაცვის მდგომარეობის თაობაზე და წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის წარმოებისა და ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ მათივე 1976 წლის 16 იანვრისა და 1977 წლის 5 აგვისტოს დადგენილებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე; საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის სახელზე მიღებული განცხადებებისა და საჩივრების შესახებ და სხვ.

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 28 თებერვლის ბრძანებულებით „**შრომის ვეტერანის**“ მედლით დაჯილდოვდა 3.314 კაცი:

| | |
|---|---|
| ქ. თბილისის ლენინის რაიონიდან . . . . . . | 231 |
| „ კალინინის „ . . . . . . . | 32 |

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის ორჯონიკიძის | რაიონიდან | 61 |
| „ 26 კომისრის | „ | 28 |
| „ საქარხნო | „ | 197 |
| ქ. ქუთაისის ავტოქარხნის | რაიონიდან | 71 |
| „ ლენინის | „ | 78 |
| ქ. ზუგდიდიდან | | 24 |
| ქ. ტყიბულიდან | | 85 |
| ახალციხის | რაიონიდან | 26 |
| ბოლნისის | „ | 55 |
| ბორჯომის | „ | 15 |
| გეგეჭკორის | „ | 1 |
| გურჯაანის | „ | 299 |
| დუშეთის | „ | 14 |
| ვანის | „ | 60 |
| ზესტაფონის | „ | 418 |
| ლაგოდეხის | „ | 72 |
| ლანჩხუთის | „ | 27 |
| ლენტეხის | „ | 2 |
| მაიაკოვსკის | „ | 29 |
| მახარაძის | „ | 775 |
| მესტიის | „ | 40 |
| მცხეთის | „ | 13 |
| ორჯონიკიძის | „ | 288 |
| საჩხერის | „ | 31 |
| ქარელის | „ | 26 |
| ჩოხატაურის | „ | 81 |
| ჩხოროწყუს | „ | 28 |
| წალკის | „ | 26 |
| წალენჯიხის | „ | 57 |
| წულუკიძის | „ | 35 |
| ხაშურის | „ | 26 |
| ხობის | „ | 63 |